

ბალაშია 1997 წლის 20 ოქტომბრიდან

კონვენცია

საქართველოს მთავრობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და შემოსავლებსა (მოგებაზე) და ქონებაზე გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ

საქართველოს მთავრობა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობა, სურთ რა დაღონ კონვენცია ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და შემოსავლებსა (მოგებაზე) და ქონებაზე გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ, აგრეთვე, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცების მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 გამოყენების სფერო

ეს კონვენცია გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ერთი ან ორივე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტებს.

მუხლი 2 გადასახადები, რომლებზეც ვრცელდება კონვენცია

1. ეს კონვენცია ვრცელდება შემოსავლებსა (მოგებაზე) და ქონებაზე გადასახადების მიმართ, რომლებიც გადაიხდებიან ხელშემკვრელი სახელმწიფოს ან მის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ, მიუხედავად მათი გადახდებიდან წესისა.

2. შემოსავლებსა (მოგებაზე) და ქონებაზე გადასახადებს მიეკუთვნება ყველა ის გადასახადი, რომელიც გადაიხდებიან მთლიანი შემოსავლებიდან (მოგებიდან) ან მისი ნაწილებიდან უძრავ-მოძრავი ქონების განსხვავებით მიღებულ შემოსავლებზე გადასახადების, საწარმოს მიერ გადახდილი ხელფასის ან გასამრჯელოს მთლიან თანხებზე გადახდებიდან გადასახადების ჩათვლით.

3. არსებულ გადასახადებს, რომლებზეც ვრცელდება ეს კონვენცია, წარმოადგენენ:

a) საქართველოს მიმართებაში:

(i) საწარმოთა მოგების (შემოსავლების) გადასახადი;

(ii) ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი;

(iii) ქონების გადასახადი (შემდგომში მოხსენებული, როგორც "საქართველოს

გადასახადები").

b) უზბეკეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში;

(i) საწარმოების გაერთიანებების და ორგანიზაციების მოგებიდან (შემოსავლებიდან) გადასახადი;

(ii) უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქეების, უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების საშემოსავლო გადასახადი;

ქონების გადასახადი (შემდგომში მოხსენებული, როგორც "უზბეკეთის გადასახადები").

4. ეს კონვენცია გამოიყენება, აგრეთვე ყველა იდენტური ან არსებითად ანალოგიური გადასახადის მიმართ, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ამ კონვენციაზე ხელის მოწერის თარიღის შემდეგ გადახდევინებული იქნება არსებულ გადასახადებზე ღამაგებით ან მათ ნაცვლად. მონაწილე სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები აცნობებენ ერთმანეთს მათ შესაბამის საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

მუხლი 3 ზოგადი განსაზღვრებები

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს:

a) ტერმინი "საქართველო", ნიშნავს საქართველოს და გეოგრაფიული მნიშვნელობით მოიცავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ მთელ ტერიტორიას, შიდა და ტერიტორიული წყლების ჩათვლით, აგრეთვე, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას და კონტინენტალურ შელფს, რომლებზეც საერთაშორისო სამართლის ან საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ვრცელდება ან შეიძლება გავრცელდეს საქართველოს იურისდიქცია, სუვერენული უფლებები და შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მოქმედება;

b) ტერმინი "უზბეკეთი" ნიშნავს უზბეკეთის რესპუბლიკას და გეოგრაფიული მნიშვნელობით ნიშნავს უზბეკეთის რესპუბლიკის ტერიტორიას, ტერიტორიული წყლებისა და საჰაერო სივრცის ჩათვლით, რომლის ფარგლებშიც უზბეკეთის რესპუბლიკას შეუძლია განახორციელოს სუვერენული უფლებები და იურისდიქცია, წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების ჩათვლით, უზბეკეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად;

c) ტერმინი "მონაწილე სახელმწიფო" და "მეორე მონაწილე სახელმწიფო" გარემოებისა და მიხედვით, ნიშნავს საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკას;

d) ტერმინი "პირი" მოიცავს ფიზიკურ პირს, იურიდიულ პირს და პირთა ნებისმიერ სხვა გაერთიანებას;

e) ტერმინი "საწარმო" ნიშნავს ნებისმიერ კომპანიას, კორპორაციულ გაერთიანებას ან ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის განიხილება როგორც კორპორაციული გაერთიანება, სააქციო საზოგადოების, შემღულული პასუხისმგებლობის საზოგადოების, ერთობლივი საწარმოს, ამხანაგობის ან ნებისმიერი სხვა იურიდიული პირის ან ორგანიზაციის ჩათვლით, რომლებიც

იბეგრებიან მოგებაზე (შემოსავალზე) გადასახადებით.

ფ) გერმინი “მონაწილე სახელმწიფოს საწარმო” და “მეორე მონაწილე სახელმწიფოს საწარმო” შესაბამისად ნიშნავს საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ და საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება მეორე სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ;

გ) გერმინი “საერთაშორისო გადაზიდვა” ნიშნავს ნებისმიერ გადაზიდვას საზღვაო და საჰაერო ხომალდებით, სარკინიგზო ან საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც გამოიყენებიან ერთი მონაწილე სახელმწიფოს საწარმოებით, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საზღვაო და საჰაერო ხომალდები, სარკინიგზო ან საავტომობილო საშუალებები გამოიყენება მეორე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

ჰ) გერმინი “კომპეტენცური ორგანო” ნიშნავს:

საქართველოს მიმართებით – საქართველოს ფინანსთა მინისტრს და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

უმბეკეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში – უმბეკეთის რესპუბლიკის საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

1) გერმინი “ნაციონალური პირი” ნიშნავს:

- ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს ამ სახელმწიფოს მოქალაქეობა.

- ნებისმიერ იურიდიულ პირს, ამხანაგობას ან ასოციაციას, რომელსაც ასეთი სტატუსი მიღებული აქვს მონაწილე სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. მონაწილე სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციის გამოყენებისას ნებისმიერ გერმინს, რომელიც არ არის მასში განსაზღვრული, ექნება ის მნიშვნელობა, რაც მას ენიჭება ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით იმ გადასახადების მიმართ, რომლებზედაც ვრცელდება კონვენცია, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

მუხლი 4 რეზიდენტი

1. ამ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, გერმინი “მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტი” ნიშნავს პირს, რომელიც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება იქ დაბეგვრას თავისი საცხოვრებელი ადგილის, მუდმივი ადგილსამყოფელის, იურიდიულ პირად წარმოქმნის ადგილის, ფაქტიური ხელმძღვანელი ორგანოს ადგილმდებარეობის ან სხვა ანალოგიური კრიტერიუმის საფუძველზე ამასთან, ეს გერმინი არ მოიცავს ნებისმიერ პირს, რომელიც ექვემდებარება ამ ქვეყანაში დაბეგვრას მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ იგი იღებს შემოსავლებს (მოგებას) ამავე სახელმწიფოში განლაგებული წყაროებიდან ან ქონებიდან.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად ფიზიკური პირი გვევლინება ორივე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტად, მისი სტატუსი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) იგი ითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას გააჩნია მისთვის ხელმისაწვდომი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; თუ მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ორივე მონაწილე სახელმწიფოში აქვს, მაშინ იგი ითვლება იმ მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას გააჩნია უფრო მჭიდრო პირადი და

ეკონომიკური კავშირები (სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი);

b) თუ შეუძლებელია იმ სახელმწიფოს დადგენა, სადაც მას აქვს სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი ან თუ მას არც ერთ ამ სახელმწიფოში არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი, იგი ითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც იგი ჩვეულებრივ ცხოვრობს;

c) თუ იგი ჩვეულებრივ ცხოვრობს ორივე მონაწილე სახელმწიფოში ან ჩვეულებრივ არ ცხოვრობს არც ერთ მათგანში, იგი ითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, რომლის ნაციონალურ პირსაც წარმოადგენს;

d) თუ თითოეული მონაწილე სახელმწიფო თვლის მას თავის რეზიდენტად ან არც ერთი მათგანი არ თვლის მას ასეთად, მაშინ მონაწილე სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები გადაწყვეტენ ამ საკითხს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

e) თუ იგი არ წარმოადგენს არც ერთი სახელმწიფოს ნაციონალურ პირს. მაშინ მონაწილე სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები კონსულტაციის გზით, ამ კონვენციის მიზნებისათვის, ეცდებიან განსაზღვრონ სახელმწიფო, რომლის რეზიდენტადაც იგი ჩაითვლება.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით პირი, რომელიც არ წარმოადგენს ფიზიკურ პირს, ორივე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტია, იგი ჩაითვლება იმ მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც იგი წარმოქმნილია როგორც იურიდიული პირი.

მუხლი 5

მუდმივი დაწესებულება

1. კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი “მუდმივი დაწესებულება” ნიშნავს საქმიანობის მუდმივ ადგილს, რომლის მიხედვითაც მონაწილე სახელმწიფოს საწარმო მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას მეორე მონაწილე სახელმწიფოში.

2. ტერმინი “მუდმივი დაწესებულება”, კერძოდ მოიცავს:

- a) მართვის ადგილს;
- b) ფილიალს;
- c) ოფისს;
- d) ფაბრიკას;
- e) სახელოსნოს;

f) მაღაროს, გამის საბადოს ან ნავთობის ჭაბურღილს, კარიერს, დანადგარს, მოწყობილობას ან ბუნებრივი რესურსების მოპოვების ნებისმიერ სხვა ადგილს.

ტერმინი “მუდმივი დაწესებულება” აგრეთვე მოიცავს:

a) სამშენებლო მოედანს ან სამონტაჟოს ან საამწყობრო ობიექტს, ან მათთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოს ადგილს, მხოლოდ თუ ეს მოედანი, ობიექტი ან სამუშაოები არსებობენ 6 თვეზე მეტ ხანს;

b) მოსამსახურების გაწევა, საკონსულტაციო მომსახურების ჩათვლით, საწარმოებზე მომსახურების ან საამისოდ საწარმოს მიერ დაქირავებული სხვა პერსონალის მეშვეობით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ასეთი საქმიანობა (ერთი ან რამდენიმე ობიექტისათვის) ქვეყნის ფარგლებში ხორციელდება პერიოდის ან პერიოდების განმავლობაში, რომლებიც შეადგენენ 6 თვეზე მეტ ხანს თორმეტთვიანი პერიოდის განმავლობაში.

4. ამ მუხლის დებულებების მიუხედავად, ტერმინი “მუდმივი დაწესებულება” არ მოიცავს:

a) ნაგებობების გამოყენებას საწარმოს კუთვნილ ნაკეთობათა მხოლოდ შენახვის ან დემონსტრირების მიზნით.

b) საქონლის ან ნაკეთობათა იმ მარაგების შენახვას, რომლებიც საწარმოს აქვს მხოლოდ და მხოლოდ შენახვის ან დემონსტრირების მიზნით.

c) იმ საქონლის ან ნაკეთობათა მარაგების ქონას, რომლებიც საწარმოს აქვს მხოლოდ და მხოლოდ სხვა საწარმოს მიერ მათი გადამუშავების მიზნით.

d) საქმიანობის მუდმივი ადგილის შენახვას მხოლოდ და მხოლოდ ამ საწარმოსათვის საქონლის ან საწარმო შესყიდვის, ან, ინფორმაციის შეგროვების მიზნით.

e) საქმიანობის საწარმოსათვის მხოლოდ მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათის ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელების მიზნით.

f) საქმიანობის მუდმივი ადგილის შენახვა ამ მუხლის a) და e) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ საქმიანობათა სახეობების ნებისმიერი კომბინაციის განსახორციელებლად, იმ პირობით, რომ მუდმივი ადგილის მთლიან საქმიანობას, რომელიც გამომდინარეობს ასეთი შერწყმის შედეგად, აქვს მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათი.

5. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების დებულებათა მიუხედავად, თუ პირი დამოუკიდებელი სტაგუსის მქონე აგენცის გარდა, რომელმაც საუბარია ამ მუხლის მე – 7 პუნქტში, მონაწილე სახელმწიფოში მოქმედებს მეორე მონაწილე სახელმწიფოს საწარმოს სახელით, გააჩნია და ჩვეულებრივ იყენებს მონაწილე სახელმწიფოში უფლებამოსილებას გააფორმოს კონტრაქტები საწარმოს სახელით, მაშინ ეს საწარმო განიხილება, როგორც ამ სახელმწიფოში მუდმივი დაწესებულების მქონე პირველადსხენებულ სახელმწიფოში ნებისმიერი საქმიანობის მიმართ, რომელსაც ეს პირი ახორციელებს საწარმოსათვის, იმ შემთხვევის გამოკლებით, როცა ამ პირის საქმიანობა შემოიფარგლება მე – 4 პუნქტში მითითებულით, რომელიც თუ ხორციელდება კიდევ საქმიანობის მუდმივი ადგილის მეშვეობით, ამ პუნქტის დებულებათა თანახმად არ გადააქცევს ამ საქმიანობის მუდმივ ადგილს მუდმივ წარმომადგენლობად ან არ გააჩნია გემოთ აღნიშნული უფლებამოსილებანი, მაგრამ პირველად ხსენებული სახელმწიფოში რეგულარულად ინახავს საწარმოს სახელით საქონელს ან პროდუქციას. ამ მუხლის წინა დებულებათა მიუხედავად მონაწილე სახელმწიფოს სადამღვევო საწარმო ხელმეორედ გადამღვევის შემთხვევების გარდა, ჩაითვლება როგორც მეორე მონაწილე სახელმწიფოში მუდმივი დაწესებულების მქონე. თუ იგი ამ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე აგროვებს სადამღვევო პრემიებს ან ამღვევს იქ მოსალოდნელი რისკებისაგან პირის მეშვეობით, რომელიც ამ მუხლის მე – 7 პუნქტის თანახმად, არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სტაგუსის აგენცს.

7. ერთი მონაწილე სახელმწიფოს საწარმო არ განიხილება, როგორც მუდმივი დაწესებულების მქონე მეორე მონაწილე სახელმწიფოში მხოლოდ იმის გამო, რომ ამ სახელმწიფოში ის ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას ბროკერის, კომისიონერის ან ნებისმიერი სხვა დამოუკიდებელი სტაგუსის მქონე აგენცის მეშვეობით, იმ პირობით, რომ ეს პირები მოქმედებენ თავიანთი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 6

უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავლები

1. ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავლები (სოფლისა და საგყეო მეურნეობიდან შემოსავლების ჩათვლით) მეორე მონაწილე სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონებიდან შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ამ მეორე სახელმწიფოში;

2. გერმინს “უძრავი ქონება” უნდა ჰქონდეს ის მნიშვნელობა, რომელიც მას გააჩნია იმ მონაწილე სახელმწიფოს საგადასახადო კანონმდებლობით, რომელშიც მდებარეობს განსახილველი ქონება. გერმინი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეიცავდეს ქონებას, რომელიც თან სდევს უძრავ ქონებას, პირუტყვისა და სასოფლო და საგყეო მეურნეობისათვის განკუთვნილ ინვენტარს, ნებისმიერი სახის თევზსაჭერ ადგილებს, რომელთა მიმართაც უფლებები განისაზღვრება ზოგადი სამართლის დებულებებით და ეხება მიწის ზემოთ არსებულ საკუთრებას, უძრავი ქონების უზურფრუქტს და უფლებებს ცვალებად და ფიქსირებულ გადასახადებზე, რომლებიც გადაიხდება როგორც კომპენსაცია მინერალური წიაღისეულის და სხვა ბუნებრივი რესურსების დამუშავებისათვის ან დამუშავების უფლებისათვის. გემები, საჰაერო ხომალდები, სარკინიგზო, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებები არ განიხილება, როგორც უძრავი ქონება.

3. ამ მუხლის გამოყენებისას “უზურფრუქტი” ნიშნავს სხვისი ქონების მუდმივ გამოყენებას და მისგან მიღებული შემოსავლების გამოყენების უფლებას.

4. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები გამოიყენება აგრეთვე შემოსავლებზე, რომლებიც მიიღება უძრავი ქონების პირდაპირი გამოყენებიდან, იჯარით ან უძრავი ქონების ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენებისაგან.

5. ამ მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტის დებულებები გამოიყენება, აგრეთვე, შემოსავლებზე (მოგებაზე) საწარმოს უძრავი ქონებიდან და შემოსავლებზე (მოგებაზე) უძრავი ქონებიდან, რომელიც გამოიყენება დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გასაწევად.

მუხლი 7

სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება

1. ერთი მონაწილე სახელმწიფოს მოგება დაიბეგრება გადასახადით მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ ეს საწარმო არ ახორციელებს კომერციულ საქმიანობას მეორე მონაწილე სახელმწიფოში იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, თუ სახელმწიფო ამგვარად ახორციელებს კომერციულ საქმიანობას, მაშინ საწარმოს მოგება შეიძლება დაიბეგროს მეორე მონაწილე სახელმწიფოში, მაგრამ, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს:

- a) მუდმივი დაწესებულების საქმიანობას;
- b) ამ მეორე სახელმწიფოს საქონლის ან პროდუქციის გაყიდვას, რომელიც იგივე ან მსგავსი ტიპისაა რაც იყიდება მუდმივი დაწესებულების მეშვეობით;
- c) სხვა საწარმოს საქმიანობას, რომელიც ამ სახელმწიფოში ხორციელდება, იგივე ან, მსგავსად იმისა, რაც ხორციელდება მუდმივი დაწესებულების მეშვეობით;

2. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, როცა მონაწილე სახელმწიფო საწარმო ახორციელებს კომერციულ საქმიანობას მეორე მონაწილე სახელმწიფოში იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით,

მაშინ თითოეულ მონაწილე სახელმწიფოში ამ საწარმოს დაერიცხება მოგება, რომელიც მას შეიძლება მიეღოს, რომ ყოფილიყო განკერძოებული ან დამოუკიდებელი საწარმოო იმავე ან ანალოგიური საქმიანობით დაკავებული, იმავე ან ანალოგიურ პირობებში და იმოქმედებდა სრულიად დამოუკიდებლად იმ საწარმოსაგან, რომლის მუდმივ დაწესებულებასაც ის წარმოადგენს.

3. მუდმივი დაწესებულების მოგების განსაზღვრისას დაშვებულია იმ ხარჯების გამოქვითა, რომელიც გაწეულია ასეთი დაწესებულების მიზნებისათვის მმართველობითი და საერთო ხარჯების ჩათვლით, რომელიც გაწეულია ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ისე ნებისმიერ ადგილას.

არ დაიშვება მუდმივი დაწესებულების მიმართ არავითარი იმ თანხის გამოქვითა, რომელიც გადახდილია რეზიდენტის სათაო ან სხვა ნებისმიერი დაწესებულებისათვის როიალტის, მოსაკრებლის ან სხვა უფლების გამოყენებისათვის, კონკრეტული მომსახურებისათვის ან მენეჯმენტის გაწევისათვის საკომისიო გადასახადის გზით.

4. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილე სახელმწიფოში ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენს მუდმივი დაწესებულების მოგების განსაზღვრა საწარმოს მოგების მთლიანი თანხის ამ საწარმოების ქვედანაყოფებს შორის პროპორციული განაწილების საფუძველზე, არაფერი ამ მუხლის მე-2 პუნქტში არ უშლის ხელს მონაწილე სახელმწიფოს, განსაზღვროს დასაბეგრი მოგება ისეთი განაწილების მეშვეობით, როგორც ამას პრაქტიკა მოითხოვს. განაწილების არჩეული მეთოდი უნდა იძლეოდეს შედეგს, რომელიც შეესაბამება ამ მუხლის პრინციპებს.

5. მუდმივ დაწესებულებას არ დაერიცხება არავითარი მოგება, მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მან შეიძინა საქონელი ან ნაკეთობანი საწარმოსათვის.

6. ამ მუხლის წინა პუნქტების მიზნებისათვის, მუდმივი დაწესებულების კუთვნილი მოგება ყოველწლიურად განისაზღვრება ერთი და იგივე მეთოდით, თუკი რაიმე დამაჯერებელი და საკმარისი მიზეზი არ იქნება მის შესაცვლელად.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც მოგება შეიცავს შემოსავლის ისეთ სახეს, რომელიც ცალკეა განხილული ამ კონვენციის სხვა მუხლებში, იმ მუხლის დებულებანი არ შეეხება ამ მუხლის დებულებებს.

მუხლი 8

საერთაშორისო გრანსპორტი

1. ერთი მონაწილე სახელმწიფოს საწარმოს შემოსავლები, მიღებული გემების, თვითმფრინავების, სარკინიგზო და საავტომობილო საგრანსპორტო საშუალებების საერთაშორისო გადაზიდვაში გამოყენებიდან. დაიბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები აგრეთვე გამოიყენება:

a) შემთხვევითი მოგების მიმართ, რომელიც მიიღება იჯარიდან, მათ შორის საერთაშორისო გადაზიდვებში გამოყენებულ გემებისა და თვითმფრინავების ეკიპაჟის გარეშე დაქირავების საფუძველზე;

b) კონტეინერების (გრეილერების და კონტეინერების გადაზიდვასთან დაკავშირებული მოწყობილობების ჩათვლით) გამოყენების, შენახვისა და იჯარით გაცემისაგან მიღებული მოგების მიმართ, თუ ისინი წარმოადგენენ დამატებით ან შემთხვევით მოგებებს იმ მოგებების მიმართ, რომელზეც ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტი;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები გამოიყენება აგრეთვე პულში (საერთო ფონდში), ერთობლივი საწარმოს ან საგრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში მონაწილეობისაგან მიღებული მოგების მიმართ.

მუხლი 9 **საწარმოს გაერთიანება**

1. იმ შემთხვევაში, თუ:
 - a) მონაწილე სახელმწიფოს საწარმო პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე მონაწილე სახელმწიფოს საწარმოს მართვაში, კონტროლსა და კაპიტალში.
 - b) იგივე პირები პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ მეორე მონაწილე სახელმწიფოს საწარმოს მართვაში, კონტროლსა და კაპიტალში, და საწარმოებს შორის მათ ფინანსურ და კომერციულ ურთიერთობებში წარმოიქმნება ან დამყარდება გარემოებები, განსხვავებული იმათგან რომელიც არსებობს დამოუკიდებელ საწარმოებს შორის, მაშინ მოგება, რომელიც დაგროვდება ერთ საწარმოში ასეთი ურთიერთობების გამო მოსალოდნელზე მეტი მოცულობით, შეიძლება ჩაირთოს ამ საწარმოს მოგებაში და დაიბეგროს გადასახადით საერთო თანხიდან.
2. როდესაც მონაწილე სახელმწიფო ჩართავს ამ საწარმოს მოგებაში აგრეთვე დაბეგვრას მოგების შესაბამისად, რომლითაც მეორე მონაწილე სახელმწიფოს საწარმო იბეგრება ამ მეორე სახელმწიფოში და მოგება, ჩართული ასეთი სახით პირველად ხსენებული სახელმწიფო საწარმოს მიერ, ითვლება მოგებად, რომელიც მოაგროვა პირველად ხსენებულმა სახელმწიფოს საწარმომ, თუ ორ საწარმოს შორის იქნებოდა ისეთი ურთიერთობები, როგორც ორ დამოუკიდებელ საწარმოს შორის, მაშინ მეორე სახელმწიფო გააკეთებს მის მიერ მოგებაზე დარიცხული გადასახადის შესაბამის კორექტირებას. ასეთი კორექტირების განსაზღვრაში შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს კონვენციის სხვა დებულებებს და მონაწილე მხარეების კომპეტენტურმა ორგანოებმა, თუ აუცილებელია უნდა დაიწყონ კონსულტაციები.

მუხლი 10 **დივიდენდები**

1. დივიდენდები, რომლებსაც ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტის საწარმო გადაუხდის მეორე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტს, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
2. ამასთან, ასეთი დივიდენდები შეიძლება დაიბეგროს აგრეთვე იმ მონაწილე სახელმწიფოებში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს საწარმო, რომელიც დივიდენდებს იხდის ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ მიმღები წარმოადგენს დივიდენდების ფაქტიურ მფლობელს, მაშინ ასეთი სახით მიღებული გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს:
 - a) დივიდენდების საერთო თანხის 5%-ს, თუ საწარმო (ამხანაგობისაგან განსხვავებული) არის დივიდენდების ფაქტიური მფლობელი და იმავდროულად არის დივიდენდების გადამხდელი საწარმო კაპიტალის არანაკლებ 25%-ის მფლობელი;
 - b) დივიდენდების საერთო თანხის 15%-ს ყველა დანარჩენ შემთხვევაში.ეს პუნქტი არ შეეხება საწარმოს დაბეგვრას იმ მოგებასთან მიმართებაში,

საიდანაც გაიცემა დივიდენდები.

3. ამ მუხლში გამოყენებისას გერმინი “დივიდენდები” ნიშნავს შემოსავალს აქციებიდან ან აქციებით სარგებლობიდან ან სამთო-სამრეწველო აქციების სარგებლობის უფლებიდან, დამფუძნებელთა აქციებიდან ან სხვა უფლებებიდან, რომლებიც იძლევიან მოგებაში მონაწილეობის უფლებას, არ წარმოადგენენ სავალე მოთხოვნებს, აგრეთვე შემოსავალს სხვა კორპორაციული უფლებებიდან, რომლებიც ექვემდებარებიან ისეთსავე საგადასახადო მოწესრიგებას, როგორსაც აქციებზე შემოსავალი, იმ მონაწილე სახელმწიფოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს მოგების გამანაწილებელი საწარმო.

4. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, თუ დივიდენდების ფაქტიური მფლობელი, როგორც მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტი, ახორციელებს კომერციულ საქმიანობას მეორე მონაწილე სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტიც არის დივიდენდების გადამხდელი საწარმო, იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან მეორე სახელმწიფოში ახორციელებს დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული მუდმივი ბაზიდან და ჰოლდინგი, რომლის მიმართაც გადაიხდება დივიდენდები, ფაქტიურად დაკავშირებულია ასეთ მუდმივ დაწესებულებასთან ან მუდმივ ბაზასთან. ასეთ შემთხვევაში, ვითარებიდან გამომდინარე, გამოიყენება ამ კონვენციის მე-7 ან მე-14 მუხლების დებულებები.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტის საწარმო იღებს მოგებას მეორე მონაწილე სახელმწიფოში, ამ მეორე სახელმწიფოს შეუძლია არ დაბეგროს გადასახადით საწარმოს მიერ გაცემული დივიდენდები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს დივიდენდები გადაიხდება ამ მეორე სახელმწიფოს რეზიდენტზე ან თუ ჰოლდინგი რომლის მიმართაც გადაიხდება დივიდენდები, ნამდვილად განეკუთვნება სახელმწიფოში მდებარე მუდმივ დაწესებულებას ან მუდმივ ბაზას, აგრეთვე არ შეუძლია დაბეგრას დაუქვემდებაროს საწარმოს გაუნაწილებელი მოგება, მაშინაც კი, თუ მოცემული დივიდენდები, ან გაუნაწილებელი მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ ამ მეორე მონაწილე სახელმწიფოში წარმოქმნილი მოგებისაგან ან შემოსავლებისაგან შედგება.

მუხლი 11 **პროცენტები**

1. ერთ მონაწილე სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი პროცენტები, შეიძლება დაიბეგროს გადასახადებით ამ მეორე სახელმწიფოში.

2. ამასთან, ასეთი პროცენტები გადასახადით შეიძლება დაიბეგროს, აგრეთვე იმ მონაწილე სახელმწიფოში, რომელშიც ისინი წარმოიქმნებიან ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ ბენეფიციარი (სარგებლის მიმღები პროცენტის მფლობელი) წარმოადგენს მეორე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტს, მაშინ გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს პროცენტების მთლიანი თანხის 10%-ს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების მიუხედავად, გადასახადით არ იბეგრება პროცენტი, რომელიც წარმოიქმნება ერთი მონაწილე სახელმწიფოში და გადაეხდება მეორე მონაწილე სახელმწიფოს მთავრობას ან მის უფლებამოსილ ორგანოს.

4. ტერმინი “პროცენტი” ამ კონვენციაში გამოყენებისას ნიშნავს შემოსავალს ნებისმიერი სახის სავალე მოთხოვნებიდან. იპოთეკური უზრუნველყოფისა და მევალეს მოგებაში მონაწილეობის უფლების არსებობის მიუხედავად, კერძოდ, შემოსავალს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების და ობლიგაციების ან სავალე ვალდებულებებისაგან, ამ ფასიან ქაღალდებზე, ობლიგაციებზე ან სავალე ვალდებულებებზე პრემიებისა და მოგებათა ჩათვლით. ამ მუხლის მიზნებისათვის, ჯარიმები არათავისდროულ გადახდაზე (პირგასამტეხლო) არ განიხილება როგორც პროცენტები.

5. 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება, თუ მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც ბენეფიციარი ახორციელებს საქმიანობას მეორე მონაწილე სახელმწიფოში, რომელშიც წარმოიშვება პროცენტები, იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ან ამ მეორე სახელმწიფოში ეწევა დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული მუდმივი ბაზის მეშვეობით და სავალე მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც გადაიხდება პროცენტები, ნამდვილად ეკუთვნის ასეთ მუდმივ დაწესებულებას ან მუდმივ ბაზას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ კონვენციის მე-7 და მე-14 მუხლების დებულებები.

6. ითვლება, რომ პროცენტები წარმოიქმნება მონაწილე სახელმწიფოში თუ გადამხდელად გამოდის თვით ეს სახელმწიფო, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო ან ამ სახელმწიფოს რეზიდენტი. თუ პროცენტების გადამხდელ პირს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტი, გააჩნია მონაწილე სახელმწიფოში მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა, რომელთა დაკავშირებით გადაიხდება დავალიანებასთან დაკავშირებული პროცენტები, მაშინ პროცენტები წარმოქმნილად ითვლება იმ მონაწილე სახელმწიფოში, რომელშიც მდებარეობს მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა.

7. თუ გადამხდელსა და პროცენტის ფაქტიურ მფლობელს შორის მათსა და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობის გამო სავალე მოთხოვნაზე განკუთვნილი პროცენტული თანხა, რომლის საფუძველზეც იგი გადაიხდება, აჭარბებს თანხას, რაც შეთანხმებული იქნებოდა გადამხდელსა და პროცენტზე ფაქტიურ უფლების მქონე პირს შორის ასეთი ურთიერთობების არ არსებობისას, მაშინ ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ უკანასკნელად ხსენებული თანხის მიმართ. ასეთ შემთხვევაში გადასახადის ნამეგი ნაწილი კვლავ ექვემდებარება დაბეგვრას ყოველი მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ კონვენციის სხვა დებულების გათვალისწინებით.

მუხლი 12 **როიალტი**

1. ერთ მონაწილე სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი როიალტი შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ამ მეორე სახელმწიფოში, თუ ეს რეზიდენტი არის ამ როიალტის ფაქტიური მფლობელი.

2. ამასთან, ეს როიალტი შეიძლება გადასახადით დაიბეგროს აგრეთვე, მონაწილე სახელმწიფოში, რომელშიც ისინი წარმოიქმნება, ამ სახელმწიფოს კანონის შესაბამისად, მაგრამ თუ მისი მიმღები არის ბენეფიციარი (სარგებლის მიმღები როიალტის მფლობელი), მაშინ გადასახადმა არ უნდა გადააჭარბოს როიალტის მთლიანი თანხის 10%;

3. ამ მუხლში გამოყენებისას გერმინი “როიალტი” ნიშნავს ნებისმიერი სახის გადასახადებს, რომლებიც მიიღება ანაზღაურების სახით ლიგერაგურის, ხელოვნების ან მეცნიერების ნებისმიერი ნაწარმოების გამოყენების ან გამოყენებაზე საავტორო უფლების მინიჭებისათვის, კინემატოგრაფიული ფირების, რადიომაუწყებლობის ან სატელევიზიო ჩანაწერების, ვიდეოკასეტების, ნებისმიერი პატენტის, სავაჭრო მარკის, ნახაზის ან მოდელის, სქემის, კომპიუტერული პროგრამის, საიდუმლო ფორმულის ან პროცესის ჩათვლით, ან სამრეწველო, კომერციული ან სამეცნიერო მოწყობილობის, ან სამრეწველო, კომერციული ან სამეცნიერო გამოცდილების შესახებ ინფორმაციით სარგებლობისათვის, ან სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, თუ როიალტის ბენეფიციარი, როგორც ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტი, ახორციელებს კომერციულ საქმიანობას მეორე მონაწილე სახელმწიფოში, სადაც წარმოიქმნება როიალტი, იქ არსებული მუდმივი დაწესებულების ან ბაზის მეშვეობით და უფლება ან ქონება, რის მიმართაც გადაიხდება როიალტი, ნამდვილად არის დაკავშირებული ამ მუდმივ დაწესებულებასთან ან ბაზასთან. ამ შემთხვევაში გამოიყენება ამ კონვენციის მე-7 ან მე-14 მუხლის დებულებები.

5. ითვლება, რომ როიალტი წარმოიქმნება მონაწილე სახელმწიფოში, თუ გადამხდელად გამოდის ამ სახელმწიფოს რეზიდენტი. თუ ამასთან, როიალტის გადამხდელ პირს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ამ სახელმწიფოს რეზიდენტი, ნებისმიერ სახელმწიფოში გააჩნია მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა, რომელთა მიმართაც წარმოიშვა როიალტის გადახდის ვალდებულება და გადახდის ხარჯებს იღებს ასეთი მუდმივი დაწესებულება ან ბაზა, მაშინ ითვლება, რომ ასეთი როიალტი წარმოიქმნება იმ მონაწილე სახელმწიფოში, სადაც განლაგებულია ასეთი მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა.

6. თუ გადამხდელს და ფაქტიურ მფლობელს შორის ან მათ და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებული ურთიერთობის გამო, როიალტის თანხა, რომელიც დაკავშირებულია სარგებლობასთან, უფლებასთან ან ინფორმაციასთან, რომელთა საფუძველზეც იგი გადაიხდება, აჭარბებს თანხას, რაც შეთანხმებული იქნებოდა გადამხდელსა და ფაქტიურ მფლობელს შორის ასეთი ურთიერთობების არარსებობისას, მაშინ ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ უკანასკნელად ხსენებული თანხის მიმართ. ასეთ შემთხვევაში გადასახდელის ნამეტი ნაწილი კვლავაც ექვემდებარება დაბეგვრას ყოველი მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ კონვენციის სხვა დებულებების გათვალისწინებით.

7. ამ მუხლის დებულებები არ გამოიყენება, თუ ნებისმიერი პირის ძირითად მიზანს ან ერთ-ერთ ძირითად მიზანს, რაც დაკავშირებულია უფლებების შექმნასთან, ან გადაცემასთან, რომელთა დაკავშირებითაც გადაიხდება როიალტი, წარმოადგენს სარგებლის მიღება ამ მუხლიდან, უფლებების ასეთი შექმნის ან გადაცემის გზით.

მუხლი 13

შემოსავლები ქონების ღირებულების მაგებიდან

1. შემოსავლები, რომლებსაც იღებს მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტი მეორე მონაწილე სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონების გასხვისებიდან, როგორც ეს განსაზღვრულია მე-9 მუხლში, შეიძლება დაიბეგროს გადასახადებით ამ მეორე სახელმწიფოში.

2. შემოსავლები იმ მოძრავი ქონების გასხვისებიდან, რაც შეადგენს მუდმივი დაწესებულების საკუთრების ნაწილს, რომელიც ერთი მონაწილე სახელმწიფოს საწარმოს გააჩნია მეორე მონაწილე სახელმწიფოში ან მუდმივი ბაზის კუთვნილი მოძრავი ქონების გასხვისებიდან, რომელიც მეორე მონაწილე სახელმწიფოში მდებარეობს და ეკუთვნის ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტს დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გასაწევად, ამ მუდმივი დაწესებულების (ცალკე ან მთელ საწარმოსთან ერთობლივად) გასხვისებიდან მიღებული შემოსავლების ჩათვლით, ან ასეთი მუდმივი ბაზის გასხვისებიდან მიღებული შემოსავლები, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

3. შემოსავლები, რომლებიც მიიღება მონაწილე სახელმწიფოს საწარმოს მიერ საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლუატირებულ გემების, თვითმფრინავების, სარკინიგზო და საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან ან მოძრავი ქონების გასხვისებიდან, რომელიც გამოიყენება ასეთი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისათვის შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ამ მონაწილე სახელმწიფოში.

4. საწარმოს აქციების ან სააქციო კაპიტალის გასხვისების შედეგად მიღებული შემოსავლები, რომლის ქონება ძირითადად შედგება პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილე სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონებისაგან, გადასახადით დაიბეგრება ამ სახელმწიფოში.

5. შემოსავლები ნებისმიერი სხვა ქონების გასხვისებიდან, გარდა იმისა, რომელმაც ლაპარაკია ამ მუხლის 1-ელ, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში, დაიბეგრება გადასახადით მხოლოდ იმ მონაწილე სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს ქონების გამსხვისებელი პირი.

მუხლი 14

დამოუკიდებელი პირადი მომსახურება

1. შემოსავალი, მიღებული ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ პროფესიონალური მომსახურების ან დამოუკიდებელი ხასიათის სხვა ანალოგიური მომსახურებისაგან, შეიძლება დაიბეგროს გადასახადით მხოლოდ ამ სახელმწიფოში შემდეგი გარემოებების გამოკლებით, როდესაც ასეთი შემოსავლები შეიძლება დაიბეგროს გადასახადით აგრეთვე მეორე მონაწილე სახელმწიფოში:

a) თუ მას მეორე მონაწილე სახელმწიფოში გააჩნია რეგულარულად ხელმისაწვდომი მუდმივი ბაზა თავისი მომსახურების გაწევის მიზნებისათვის; ასეთ შემთხვევაში მისი შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე მონაწილე სახელმწიფოში მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც განეკუთვნება ასეთ ბაზას; ან

b) თუ მისი ყოფნა მეორე მონაწილე სახელმწიფოში შეადგენს პერიოდს ან პერიოდებს, რომლებიც გოლია ან საერთო ჯამში აღემატება 90 დღეს ნებისმიერი 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში.

2. გერმინი “დამოუკიდებელი პირადი მომსახურება” კერძოდ, მოიცავს დამოუკიდებელ სამეცნიერო, სალიტერატურო, სამსახიობო, საგანმანათლებლო ან პედაგოგიურ საქმიანობას, აგრეთვე, ექიმების, იურისტების, ინჟინრების, არქიტექტორების, სკომატოლოგებისა და ბუკალატორების დამოუკიდებელ პირად საქმიანობას.

მუხლი 15

დამოუკიდებელი პირადი მომსახურება

1. ამ კონვენციის მე-16, მე-17 და მე-18 მუხლების დებულებების გათვალისწინებით, ხელფასი და სხვა გასამრჯელოები, რომლებსაც იღებს მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტი დაქირავებულ შრომასთან დაკავშირებით, იბეგრება გადასახადით მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ დაქირავებული შრომა არ ხორციელდება მეორე მონაწილე სახელმწიფოში. თუ დაქირავებული შრომა ხორციელდება ასეთი სახით, ამასთან დაკავშირებული გასამრჯელო შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ამ მეორე სახელმწიფოში.

2. ამ მუხლის 1-ელი პუნქტის დებულების მიუხედავად ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მეორე მონაწილე სახელმწიფოში დაქირავებული შრომისათვის მიღებული გასამრჯელო იბეგრება გადასახადით მხოლოდ პირველად ხსენებულ სახელმწიფოში, თუ:

a) მიმღები მეორე მონაწილე სახელმწიფოში იმყოფება პერიოდის ან პერიოდების განმავლობაში, რომლებიც საერთო ჯამში არ აღემატება 183 დღეს ნებისმიერ 12 თვიანი პერიოდის ფარგლებში, რომელიც იწყება ან მთავრდება განსახილველ კალენდარულ წელიწადში, და

b) გასამრჯელო გადაიხდება დამქირავებლის მიერ ან მისი სახელით, რომელიც არ არის მეორე სახელმწიფოს რეზიდენტი, და

c) გასამრჯელოს გადახდის ხარჯებს არ იღებს მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა, რომელიც დამქირავებელს გააჩნია მეორე სახელმწიფოში.

3. ამ მუხლის დებულებების მიუხედავად, გასამრჯელო, რომელსაც იღებს ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტი დაქირავებული შრომისათვის, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო გადაზიდვებში, გამოყენებული საზღვაო, საჰაერო ხომალდის ბორცზე, სარკინიგზო ან საავტომობილო საგრანსპორტო საშუალებებზე, შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ამ სახელმწიფოში.

მუხლი 16

ღირექტორთა ჰონორარები

ღირექტორთა ჰონორარები და სხვა მსგავსი გადასახადები რომლებსაც ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც მეორე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტი საწარმოს ღირექტორთა საბჭოს ან ანალოგიური ორგანოს წევრი შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ამ მეორე მონაწილე სახელმწიფოში.

მუხლი 17

ხელოვნების მუშაკები და სპორტსმენები

1. ამ კონვენციის მე-14 და მე-15 მუხლების დებულებათა მიუხედავად, შემოსავალი, რომელსაც მიიღებს ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც ხელოვნების მუშაკი (როგორც არის თეატრის, კინოს, რადიოს ან ტელევიზიის მსახიობი, ან მუსიკოსი) ან როგორც სპორტსმენი მეორე მონაწილე სახელმწიფოში, მისი პირადი საქმიანობიდან გამომდინარე შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ამ მეორე სახელმწიფოში.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი პირადი საქმიანობიდან, რომელსაც განახორციელებს ხელოვნების მუშაკი ან სპორტსმენი (სწორედ როგორც ხელოვნების მუშაკი ან სპორტსმენი), დაერიცხება არა თვით ხელოვნების მუშაკს ან სპორტსმენს, არამედ სხვა პირს, მაშინ ეს შემოსავალი მიუხედავად ამ კონვენციის მე-7, მე-14 და მე-15 მუხლების დებულებისა, დაიბეგრება გადასახადით იმ მონაწილე სახელმწიფოში, რომელშიც ხორციელდება ხელოვნების მუშაკის და სპორტსმენის საქმიანობა.

3. 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებები არ ეხება შემოსავალს, რომელიც მიიღება მონაწილე სახელმწიფოში ხელოვნების მუშაკის ან სპორტსმენის საქმიანობიდან, თუ ამ სახელმწიფოში სტუმრობა მთლიანად ფინანსდება ერთი ან ორივე სახელმწიფოს საზოგადოებრივი ფონდებიდან ან ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ. ასეთ შემთხვევაში შემოსავალი იბეგრება მხოლოდ მონაწილე სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს ხელოვნების მუშაკი ან სპორტსმენი.

მუხლი 18 **პენსიები და მუდმივი რენტა**

1. მონაწილე სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი პენსია, რომელიც წარმოადგენს მის ბენეფიციარს, დაიბეგრება მხოლოდ ამ მეორე სახელმწიფოში.

2. ამ კონვენციის მიზნებისათვის “მუდმივი რენტა” ნიშნავს დადგენილ თანხას, რომელიც გადაიხდება პერიოდულად განსაზღვრულ დროში სიცოცხლის განმავლობაში ან წლების განსაზღვრული რაოდენობის განმავლობაში, გადახდის ვალდებულებით აღექვამური ან მთლიანი კომპენსაციის ნაცვლად (რომელიც განსხვავდება გაწეული დახმარებისაგან), მაგრამ არ შეიცავს პენსიას ან გადახდას, რომელიც არ არის პერიოდული.

3. ალიმენტები და სხვა მსგავსი თანხები (ბავშვის შენახვასთან დაკავშირებული გადახდების ჩათვლით), რომელიც წარმოიქმნება მონაწილე სახელმწიფოში და გადაეხდება მეორე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტს, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

მუხლი 19 **სახელმწიფო სამსახური**

1. a) მონაწილე სახელმწიფოს ან მისი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ნებისმიერი ფიზიკური პირისათვის გადახდილი პენსიისაგან განსხვავებული გასამრჯელო, ამ სახელმწიფოს ან ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ გაწეული სამსახურისათვის, გადასახადით იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

b) მაგრამ ამგვარი გასამრჯელო გადასახადით იბეგრება მხოლოდ მეორე მონაწილე სახელმწიფოში, თუ სამსახური გაიწევა ამ სახელმწიფოში და ფიზიკური პირი წარმოადგენს ამ სახელმწიფოს რეზიდენტს, რომელიც

i) არის ამ სახელმწიფოს ნაციონალური პირი, ან
ii) არ გახდა ამ სახელმწიფოს რეზიდენტი მხოლოდ აღნიშნული სამსახურის გაწევის მიზნით.

2. a) მონაწილე სახელმწიფოს ან მისი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ან მათ მიერ შექმნილი ფონდებიდან ნებისმიერი ფიზიკური პირისათვის გადახდილი პენსია

ამ სახელმწიფოსათვის ან მისი ადგილობრივი ხელისუფლებისათვის გაწეული სამსახურის მიმართ დაიბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

ბ) მაგრამ ამგვარი პენსია გადასახადით იბეგრება მხოლოდ მეორე მონაწილე სახელმწიფოში, თუ ფიზიკური პირი წარმოადგენს ამ სახელმწიფოს რეზიდენტს და ნაციონალურ პირს.

2. ამ კონვენციის მე-15, მე-16 და მე-18 მუხლების დებულებები გამოიყენება გასამრჯელოთა და პენსიათა მიმართ, რომლებიც გაწეულია მონაწილე სახელმწიფოს ან მისი ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 20 **სტუდენტები**

სტუდენტის ან სტაჟიორის მიერ მიღებული გადახდები, რომელიც ერთ მონაწილე სახელმწიფოში უშუალოდ ჩამოსვლამდე იყო ან არის მეორე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტი და აღნიშნულ პირველ სახელმწიფოში იმყოფება მხოლოდ და მხოლოდ განათლების მიღების მიზნით, ხოლო ეს ანაზღაურებანი განკუთვნილია ცხოვრებისა და განათლების მისაღებად, არ დაიბეგრება გადასახადით ამ პირველად ხსენებულ სახელმწიფოში, თუ ამ ანაზღაურების წყაროები ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მდებარეობენ.

მუხლი 21 **სხვა შემოსავლები**

მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტის შემოსავლების (მოგების) სახეები, რომლებიც წარმოიქმნებიან მონაწილე სახელმწიფოში მდებარე წყაროებიდან და არ არიან მოხსენებული კონვენციის წინა მუხლებში, შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ამ სახელმწიფოში.

მუხლი 22 **ქონება**

1. უძრავი ქონება რომელიც წარმოადგენს ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტის საკუთრებას და მდებარეობს მეორე მონაწილე სახელმწიფოში, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. მოძრავი ქონება, რომელიც წარმოადგენს მუდმივი დაწესებულების სამეწარმეო ქონების ნაწილს და რომელიც ერთი მონაწილე სახელმწიფოს საწარმოს გააჩნია მეორე მონაწილე სახელმწიფოში, ან წარმოდგენილია იმ მუდმივ ბაზასთან დაკავშირებული მოძრავი ქონებით, რომელიც ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტს გააჩნია მეორე მონაწილე სახელმწიფოში დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გაწევის მიზნებისათვის, შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ამ მეორე სახელმწიფოში.

3. ქონება, რომელიც ეკუთვნის ერთი მონაწილე სახელმწიფოს საწარმოს და წარმოდგენილია საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლოატრებული საზღვაო, საჰაერო ხომალდებით და სარკინიგზო და საავტომობილო გრანსპორტის და

კონტინენტების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მოძრავი ქონებით, იბეგრება გადასახადით მხოლოდ იმ მონაწილე სახელმწიფოში, სადაც განლაგებულია მისი, როგორც იურიდიული პირის წარმოქმნის ადგილი.

4. მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტის ქონების ყველა დანარჩენი ელემენტები იბეგრება გადასახადით მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

მუხლი 23

ორმაგი დაბეგრის თავიდან აცილება

1. თუ ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტი იღებს შემოსავალს ან ფლობს ქონებას, რომელიც ამ კონვენციის დებულებათა თანახმად შეიძლება დაიბეგროს მეორე მონაწილე სახელმწიფოში, მაშინ ამ მეორე სახელმწიფოში ამ ქონებაზე ან შემოსავალზე (მოგებაზე) დასაბეგრი გადასახადის თანხა ექვემდებარება გამოქვითვის გადასახადიდან, რომელიც ამ რეზიდენტის მიერ ასეთივე შემოსავლის (მოგების) მიმართ გადაიხდება პირველად ხსენებულ სახელმწიფოში.

მაგრამ ასეთი გამოქვითა არ გადააჭარბებს პირველი სახელმწიფოს გადასახადის თანხას ისეთ შემოსავალზე (მოგებაზე) ან ქონებაზე, რომელიც გაანგარიშებულია მისი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

2. თუ კონვენციის ნებისმიერ დებულებათა შესაბამისად, ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტის შემოსავალი (მოგება) ან ქონება გათავისუფლებულია გადასახადისაგან ამ სახელმწიფოში, ამ სახელმწიფოს, მიუხედავად ამისა, შეუძლია ამ რეზიდენტის შემოსავლის (მოგების) ქონების დარჩენილ ნაწილზე გადასახადის თანხის გამოთვლისას, გაითვალისწინოს შემოსავალზე (მოგებაზე) ან ქონებაზე გათავისუფლებული გადასახადის თანხა.

3. როდესაც დასაბეგრი თანხა თავისუფლება გადასახადისაგან ან მცირდება სპეციალური საშეღავათო ზომების შესაბამისად, რომელსაც იძლევა მონაწილე სახელმწიფო მისი შიდა კანონმდებლობის საფუძველზე, ითვლება, რომ იგი გადახდილია მონაწილე სახელმწიფოში, ამასთან, იგი უნდა გამოიქვითოს მეორე მონაწილე სახელმწიფოს გადასახადებისაგან.

მუხლი 24

არადისკრიმინაცია

1. ერთი მონაწილე სახელმწიფოს ნაციონალური პირები არ დაექვემდებარებიან მეორე სახელმწიფოში განსხვავებულ ან უფრო მძიმე დაბეგვრას, ან მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას. ვიდრე დაბეგვრას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომლებსაც ექვემდებარებიან ან შეიძლება დაექვემდებარონ ამ მეორე სახელმწიფოს ნაციონალური პირები იმავე გარემოებებში, კერძოდ, რეზიდენტის თვალსაზრისით. ეს დებულება, პირველი მუხლის დებულებების მიუხედავად, გამოიყენება, აგრეთვე ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ არიან ერთი ან ორივე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტები.

2. ერთი მონაწილე სახელმწიფოს საწარმოს მეორე მონაწილე სახელმწიფოში არსებული მუდმივი დაწესებულების დაბეგვრა არ იქნება ნაკლებად ხელსაყრელი ამ მეორე სახელმწიფოში, ვიდრე ამ მეორე სახელმწიფოს საწარმოების დაბეგვრა, რომლებიც ანალოგიურ საქმიანობას ეწევიან.

ეს დებულება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ ავალდებულებს ერთ მონაწილე სახელმწიფოს მიანიჭოს მეორე მონაწილე სახელმწიფოს რაიმე კერძო შეღავათები, გათავისუფლებები და ფასდაკლებები გადასახადებით დაბეგვრისას მათი სამოქალაქო სტატუსის ან ოჯახური მდგომარეობის საფუძველზე, რომელსაც იგი თავის რეზიდენტს ანიჭებს.

3. იმის გარდა, როდესაც გამოიყენება ამ კონვენციის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის ან მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის დებულებები, პროცენტები, როიალტი და სხვა ანაზღაურებები, რომელსაც უხდის მონაწილე სახელმწიფოს საწარმო მეორე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტს, ასეთი საწარმოს დასაბეგრი მოგების განსაზღვრისას, გამოიქვითება ისე, თუ ისინი გადახდილი იქნებოდა პირველად ხსენებული სახელმწიფოს რეზიდენტზე. ანალოგიურად, ერთი მონაწილე სახელმწიფოს საწარმოს მეორე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტისადმი არსებული დავალიანება, ამ საწარმოს ქონების დაბეგვრის მიზნებისათვის, უნდა დაექვემდებაროს გამოქვითვას იმავე პირობებით, როგორც პირველად ხსენებული სახელმწიფოს რეზიდენტის დავალიანება.

4. მონაწილე სახელმწიფოს საწარმო, რომლის ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ ეკუთვნის ან პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება მეორე მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ, არ ექვემდებარება პირველად ხსენებულ სახელმწიფოში განსხვავებულ ან უფრო მეტად დაბეგვრას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, ვიდრე დაბეგვრას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომელსაც პირველად ხსენებული მონაწილე სახელმწიფოს ანალოგიური საწარმოები განიცდიან.

5. მე-3 პუნქტის დებულებები შემოქმედებას არ ახდენენ მონაწილე სახელმწიფოს საგადასახადო კანონების დებულებებზე, რომლებიც შექმნილია იმ ოპერაციების ან შეთანხმებების განხორციელებისათვის ხელის შესაშლელად, რომლებიც მიზნად ისახავენ გადასახადებისაგან თავის აცილებას.

მუხლი 25

ურთიერთშესათანხმებელი პროცედურა

1. თუ ერთი პირი თვლის, რომ ერთი ან ორივე მონაწილე სახელმწიფოს მოქმედება იწვევს ან გამოიწვევს მის დაბეგვრას კონვენციის დებულებათა შეუსაბამოდ, მას შეუძლია, ამ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის საშუალებათა მიუხედავად, წარადგინოს თავისი განცხადება განსახილველად იმ მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებში, რომლის რეზიდენტსაც იგი წარმოადგენს ან თუ მისი შემთხვევა ექვემდებარება 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედებას, იმ მონაწილე სახელმწიფოს, რომლის ნაციონალურ პირსაც იგი წარმოადგენს.

განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს სამი წლის განმავლობაში პირველი შეგყობინებიდან იმ მოქმედებათა შესახებ, რომლებიც იწვევენ გადასახადით დაბეგვრას კონვენციის დებულებათა საწინააღმდეგოდ. 2. კომპეტენტური ორგანო შეეცდება, თუ იგი განცხადებას დასაბუთებულად ჩათვლის, და თუ მას თვითონ არ შეუძლია მივიდეს დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტილებამდე, მეორე მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოსთან ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტოს საკითხი კონვენციასთან შეუსაბამო დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით. ნებისმიერი

მიღწეული შეთანხმება უნდა შესრულდეს რაიმე დროებითი შეზღუდვების მიუხედავად, რომლებიც არსებობენ მონაწილე სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობაში.

3. მონაწილე სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები შეეცდებიან ურთიერთშეთანხმებებით გადაწყვიტონ ნებისმიერი სიძნელე ან გაუგებრობა, რომლებიც წარმოიშობა კონვენციის განმარტების ან გამოყენებისას. მათ შეუძლიათ აგრეთვე აწარმოონ ერთმანეთთან კონსულტაციები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, კონვენციით გაუთვალისწინებელ შემთხვევებშიც.

4. მონაწილე სახელმწიფოთა კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ შევიდნენ ერთმანეთთან პირდაპირ კონტაქტებში წინა პუნქტების გაგებაში თანხმობის მიღწევის მიზნით. თუ შეთანხმების მისაღწევად მიზანშეწონილია ურთიერთ ამრთა გამიარება, ეს შეიძლება განხორციელდეს მონაწილე სახელმწიფოთა კომპეტენტურ ორგანოთა წარმომადგენლობიდან შემდგარი კომისიის სხდომის ფარგლებში.

მუხლი 26 **ინფორმაციის გაცვლა**

1. მონაწილე სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ცვლიან იმ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ამ კონვენციის დებულებათა ან მონაწილე სახელმწიფოების კანონმდებლობის გამოყენებისათვის იმ გადასახადებზე, რომლებზედაც კონვენცია ვრცელდება იმ ზომით, რომლითაც დაბეგვრა არ ეწინააღმდეგება კონვენციას, კერძოდ, მოგყუების თავიდან აცილებისათვის და გადასახადების გადახდისაგან კანონიერი თავის არიდების წინააღმდეგ კანონით დადგენილი დებულებათა განხორციელებისათვის. მონაწილე სახელმწიფოების მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება საიდუმლოდ და გაიხსნება მხოლოდ იმ პირებისა და ორგანოებისათვის, სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ჩათვლით, რომლებიც დაკავებულნი არიან იმ გადასახადების შეფასებით ან აკრეფით იძულებითი წესით ამოღებით ან სასამართლო დევნით, ან იმ აღნიშნულ გადასახადებთან დაკავშირებული აპელაციების განხილვით, რომლებზეც ვრცელდება კონვენცია. ეს პირები ან ორგანოები ამ ინფორმაციებს გამოიყენებენ მხოლოდ დასახელებული მიზნებისათვის. მათ შეუძლიათ ამ ინფორმაციის გახსნა სასამართლოს ღია სხდომის მსვლელობაში ან იურიდიული ხასიათის მქონე გადაწყვეტილებების მიღებისას.

2. არც ერთ შემთხვევაში ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები არ იქნება განმარტებული, როგორც სავალდებულო რომელიმე მონაწილე სახელმწიფოსათვის:

a) გაატარონ ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამა თუ იმ მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობას ან ადმინისტრაციულ პრაქტიკას.

b) მიაწოდონ ინფორმაცია, რომელიც არ შეიძლება მიღებულ იქნეს ამა თუ იმ მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობით ან ჩვეულებრივი ადმინისტრაციულ პრაქტიკის მსვლელობას.

c) გასცენ ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გახსნას რაიმე სავაჭრო, სამეწარმეო, სამრეწველო, კომერციული ან პროფესიონალური საიდუმლოება, ან სავაჭრო პროცესი, ან ინფორმაცია, რომლის გახსნაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს პოლიტიკას (სამოგადოებრივ წესრიგს).

მუხლი 27
დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომლები
და საკონსულო დაწესებულებების მუშაკები

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ ეხება დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომლებისა და საკონსულო დაწესებულებების მუშაკების საგადასახადო პრივილეგიებს, რაც დადგენილია საერთაშორისო სამართლის საყოველთაო ნორმებით ან სპეციალური შეთანხმებების დებულების შესაბამისად.

მუხლი 28
ძალაში შესვლა

თითოეული მონაწილე სახელმწიფო, დიპლომატიური არსების მეშვეობით, შეაგყობინებს ერთმანეთს ამ კონვენციის ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურის დასრულების შესახებ. ეს კონვენცია ძალაში შედის ბოლო ასეთი შეგყობინების მიღების დღიდან და გამოიყენება:

a) გადასახადებზე, რომლებიც გადაიხდება წყაროდან მიღებული შემოსავლის (მოგების) მიმართ, იმ წლის პირველი იანვრიდან, რომელიც მოსდევს წელიწადს, როდესაც ეს კონვენცია ძალაში შევა.

b) შემოსავლებსა და ქონებაზე სხვა გადასახადების მიმართ, რომლებიც გადაიხდება ყოველ საგადასახადო წელს, პირველი იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ კალენდარულ წელიწადში, რომელიც უშუალოდ მოსდევს წელიწადს, როდესაც კონვენცია ძალაში შევიდა.

მუხლი 29

ეს კონვენცია ძალაში დარჩება ერთ-ერთი მონაწილე მხარის მიერ მისი მოქმედების შეწყვეტამდე. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შეწყვიტოს კონვენციის მოქმედება დიპლომატიური არსების მეშვეობით მისი შეწყვეტის შესახებ შეგყობინების გაგზავნის გზით ექვსი თვით ადრე ნებისმიერი კალენდარული წლის დამთავრებამდე, რომელიც იწყება ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ.

ასეთ შემთხვევაში, კონვენციის მოქმედება შეწყვეტილი იქნება:

a) გადასახადებზე, რომლებიც გადაიხდება წყაროდან მიღებული შემოსავლის (მოგების) მიმართ, იმ წლის პირველი იანვრიდან, რომელიც მოსდევს წელიწადს, როდესაც გადაცემული იქნა შეგყობინება დენონსაციის შესახებ.

b) შემოსავლებსა და ქონებაზე სხვა გადასახადების მიმართ, რომლებიც გადაიხდება ყოველ საგადასახადო წელში, პირველი იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ კალენდარულ წელიწადში, რომელიც უშუალოდ მოსდევს წელიწადს, როდესაც გაცემულ ქნა შეგყობინება დენონსაციის შესახებ რის დასტურადაც, ამისათვის უფლებამოსილმა ქვემოხელმომწერებმა ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ქ. თბილისში, 1996 წლის 28 მაისს, ორ პირად, თითოეული ქართულ, უზბეკურ და რუსულ ენაზე ამასთან, ყველა გექსტს გააჩნია თანაბარი ძალა.

ამ კონვენციის დებულებათა ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებულ
უთანხმოების წარმოქმნის შემთხვევაში, საფუძვლად აიღება ტექსტი რუსულ ენაზე.

საქართველოს მთავრობის
სახელით

უზბეკეთის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით